გურამ მაცხონაშვილი

# ე ი ფ ო რ ი ა

2020

**“უთეატროდ არ იქნება”**

*ა. ჩეხოვი, “თოლია”*

**მოქმედი პირები:**

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი

ა რ ა ე რ თ ი   მ ა მ ა კ ა ც ი   ბ რ ბ ო ღ ა ნ

ა რ ა ე რ თ ი   ქ ა ლ ი   ბ რ ბ ო ღ ა ნ

მ ს ა ხ ი ო ბ ე ბ ი,  მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი,  კ ა პ ე ლ დ ი ნ ე რ ე ბ ი  დ ა  ა თ ა ს ი  ს ი რ ი. ყველა, ვისი წარმოდგენაც თეატრში შეგიძლიათ

ქვეყნის ყველაზე დიდ თეატრში პრემიერისთვის ემზადებიან. ანშლაგია. დღეს პირველად უნდა ითამაშონ სემუელ ბეკეტის “ეჰ, ჯო”. ახალ,ძვირადღირებულ ტანსაცმელში გამოწყობილი მაყურებლები თავიანთ ადგილებს იკავებენ და ცალ თვალს დარბაზისკენ აპარებენ, ჩვენი ახალი სამოსი შეუმ ჩნეველი ხომ არ დარჩაო. ელიტები პატარა ტერორისტული დაჯგუფებებისავითაა პარტერში გადანაწილებული და წარმოდგენის დაწყებამდე კლებადი შუქის ფონზე ერთმანეთში ბოლო ბრძნულ რეპლიკებს ცვლიან. ვხედავთ მხოლოდ პარტერს. სცენა ჩვენი ხედვის არეალის მიღმაა, ბეკეტის პიესიდან ჩვენამდე მხოლოდ ხმა აღწევს. მოკლედ, სპექტაკლი სპექტაკლში.

ქალის ხმა. “ჯო...”

ჯო თვალებს გაახელს, უსმენს.

ქალის ხმა. “ჯო...”

ჯო სმენად გადაიქცევა.

ქალის ხმა. “ყველაფერზე იფიქრე? არაფერი დაგავიწყდა?.. ახლა უკვე ვერავინ მოაღწევს შენამდე, ა?.. ვერავინ დაგინახავს... ვერავინ მოგისმენს... სინათლეს რატომ არ აქრობ?.. არ გეშინია, რომ ვიღაც გითვალთვალებს?.. ა, ჯო?.. რატომ ლოგინში არ წვები?.. რით არის ლოგინი ცუდი, ჯო?.. თეთრეული ხომ გამოცვალე?.. არ გიშველა?.. თუ ეს გულია?.. იმსხვრევა, იფშვნება, როცა სიბნელეში წევხარ... ყველაფერი დაჭიანებულია... ა, ჯო?”

სიჩუმე

ქალის ხმა. “ყველაფერი კარგად იქნებაო, მითხარი... მაშინ, უკანასკნელად... თან ჩქარ-ჩქარა მაცმევდი პალტოს... ბოლომდე გალანტური... ეს ახლა თქვი, ჯო, ხომ ვერავინ გაიგონებს... ყველაფერი კარგად იქნება... ა, ჯო?.. არავის შეუძლია თქვას ეს შენსავით... მოდი, კიდევ თქვი, ჯო, და მოისმინე... ყველაფერი კარგად იქნება... აკი მართალი აღმოჩნდი... სინამდვილეში. აყროლებული სანაგვე, რომელსაც შენს სულს ეძახი... ჩემი ხმაც იქიდანაა, ხომ ასეა?.. მამაშენის ხმაც იქიდან გაიგონე... თვითონ არ ამბობდი?.. ხელში ჩაგიგდო... ერთხელ, ივნისის ღამით... და ეს გრძელდებოდა, წლობით გრძელდებოდა... ინტერვალებით... შენს თავში... ბოლოს და ბოლოს შენ ის მოახრჩვე... ამას სულიერი მოხრჩობა უწოდე... თორემ აქამდე გაწვალებდა... შემდეგ დედაშენის ჯერი მოვიდა... “ნახე, ჯო, ჩვენ შენ ზემოდან გადევნებთ თვალს...” უფრო და უფრო სუსტად, სუსტად, სანამ ისიც არ მოიშორე თავიდან... შემდეგ სხვები იყვნენ... დიდძალი ხალხი... ყველა... როგორ უყვარდით!.. ღმერთმა იცის, რის გამო... უყვარდით – ეცოდებოდით... თანაც როგორ... ახლა კი –

შემოგხედოს კაცმა… ერთადერთი გატაცება – მკვდრების მოხრჩობა საკუთარ თავში. ახლა თუ უყვარხარ ვინმეს?.. თუნდაც ერთ ცოცხალს თუ ებრალები?.. ა, ჯო?.. იმ ნაბოზარს, შაბათობით რომ მოდის – შენ ხომ მას უხდი, ჯო?.. ფრთხილად იყავი, არ გაკოტრდე… ამაზე არ გიფიქრია?.. ა, ჯო?.. რა გეშველებოდა, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით?.. არც ერთი მკვდარი სული… იჯდე ძველ მყრალ ხალათში, უსმინდე საკუთარ თავს… ერთგულ თაყვანისმცემელს… უძლურდებოდე და უძლურდებოდე, სანამ ფეხებს არ გაფშეკ… ჯერ კიდევ მხნე – ინებეთ… კუბოს მდუმარება… სამოთხე, რომელზეც შენ გამუდმებით ლაყბობდი… ვერ მოგართვეს, ჯო… არ ყოფილა შენისთანებისათვის.”

<u>სიჩუმე. ჯო კოვზს იღებს</u>

ქალის ხმა. “თავიდან მეც ძლიერი ვიყავი… სანამ ხელში მყავდი… ა, ჯო?.. თანაც რა ძლიერი… როგორც იმ ზაფხულის საღამოობით, თელების ქვეშ… პირველ ხანებში… ჩვენი სიყვარულის… როცა ვისხედით და იხვებს შევცქეროდით… ჩვენი გადაჭდობილი ხელები ერთმანეთს მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდნენ… რა აღტაცებაში მოჰყავდი ჩემს ხმას!.. სხვა ჩემს ღირსებებს შორის… ჩემს ბროლის ხმას… შენი გამოთქმა რომ ვიხმარო… შენ ხომ მეტაფორების ოსტატი იყავი… ჩემი ბროლის ხმა… ვერ ძლებოდი მისი მოსმენით… ახლა კი… რად იქეცი… დიდხანს გაქაჩავ?”

<u>სიჩუმეში პარტერის კარის შემოლეწვის ხმა ისმის.</u>
<u>გადაჭედილი დარბაზი იქეთ იხედება.</u>
<u>მსახიობები ცდილობენ არაფერი შეიმჩნიონ.</u>

კაცი, რომელიც ეს-ესაა შემოიჭრა. ყველანი ძირს დაწექით!

<u>დარბაზი ვერ ხვდება რა ხდება.</u>

კაცი, რომელიც ეს-ესაა შემოიჭრა. ყველანი ძირს-მეთქი!

<u>მაღლა ავტომატს წევს. მეორე ხელში ხელყუმბარა მოუჩანს. დარბაზი ხმაურით წვება რბილ, წითელ იატაკზე. სპექტაკლი ჩერდება. დარბაზი ხვდება, რომ მძევლად აიყვანეს. ჯოს როლის შემსრულებელ მსახიობს შიშისგან კოვზი უვარდება.</u>

ტერორისტი. თქვენ, აი, ვინც აქ ხართ, ზემოდან რომ დაყურებთ ფრესკების შელესილობის წინ დამხობილ მორწმუნეებს, მართლა გჯერათ, რომ ათეისტები ხართ?

<u>სიჩუმე</u>

ტერორისტი. ჩემთან თავს დაუცველად გრძნობთ?

<u>სიჩუმე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თუ თავს დაუცველად გრძნობთ რატომ ყველაფერს არ გააკეთებთ, რომ გათავისუფლდეთ? რატომ ყველაფერს არ გააკეთებთ თქვენს არტისტულ სახლებში რომ დაბრუნდეთ და ღლევანდელი ტრავმული გამოცდილება თქვენს ნამუშევრებში ასახოთ? იქნებ რამე კოლექტიურ ნამუშევარზეც გეფიქრათ? იქნებ მიაგნოთ რამეს, რაც თქვენს ტრავმებს ერთი კონცეპტის ქვეშ გააერთიანებს? რაღაც ვერ ვხედავ სახლებში ცოცხლად დასაბრუნებლად თითებს იტყავებდეთ პირჯვრის წერით. გეგოიმებათ?
ტრაკში
გაირჭეთ
ცერა
საჩვენებელი
და
შუათითი.
რატომ არ წამოხტება რომელიმე თქვენგანი და საკუთარ რწმენაში მაგრად დარწმუნებული რატომ არ ჩამაჯმევინებს: "დიაღ, არ გერცხვენია ჯვრის გადასახვისა შუბლზე და ყველაფერზე!"
თქვენ
დაგაჯვით
შუბლზე
და
ყველაფერზე.

<u>ს ი ჩ უ მ ე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თქვენ გგონიათ, რომ პრობლემა რწმენაა? გგონიათ, რომ პრობლემა არის ფრესკა? გგონიათ, რომ ფრესკა არის კედელი? გგონიათ, რომ კედელი არის ბარიერი? გგონიათ, რომ ფრესკა არის კონცეპტუალური ბარიერი? გგონიათ, რომ ეს კონცეპტები ადამიანებს და ღმერთებს შორის რომ ჩამდგარან, ამათ ერთმანეთს აშორებენ? მართლა ასეთი გულუბრყვილოები ხართ? ასეთი ნაივურები? ახლა შეიძლება ავტირდე. ახლა შეიძლება იმხელა თანაგანცდა გამიჩნდეს ამ დარბაზში მჯდარი 778 ინფანტის წინაშე, 778 ნაივური დიდი ბავშვის წინაშე, რომ ერთი მაგრად ავტირდე. ჩემო პატარებო! მინდა თქვენი გულუბრყვილო პაწია შუბლები სახეზე მივიხუტო და პოლიცია თუ დამაცდის ასე მიხუტებული მქონდეს დილამდე!

<u>ს ი ჩ უ მ ე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. საქმე იმაშია, რომ თქვენ არ ხართ ათეისტები! ძაან გინდათ, მაგრამ არ ხართ. მაგრად გვაბოლებთ სინამდვილეში. ამას ვინ ჭამს?

<u>ს ი ჩ უ მ ე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თქვენ იცით, რომ ადრე პიესის მოწონება ცოდვად ითვლებოდა? მოგეწონათ დღევანდელი პიესა? მოდი ასე ვთქვათ: მოგეწონათ პიესის ის ფრაგმენტი, რომლის ხილვაც ტერორისტის გამოჩენამდე მოასწარით? თავს ცოდვილებად თვლით? იქნებ რადგან მხოლოდ პიესის ნაწილის ნახვის საშუალება მოგეცათ თავს ნაწილობრივ ცოდვილებად თვლით? ის თუ იცით, სიტყვა

“ცოდვა” რომ მიზნისთვის აცდენას ნიშნავს? ბევრჯერ აგიცილებიათ მიზნისთვის თქვენი ხელოვნებით? ბევრჯერ სცოდეთ? თუ დაფიქრებულხართ ეს დარბაზი რამდენ ასეთ ცოდვას იტევს? რამდენ აცილებას? რამდენჯერ ააცილა ხელოვნებამ ამ დედამოტყნულ დარბაზში ამაზე თუ გიფიქრიათ? ყველა სახელოვნებო მასალა გააზრებას ითხოვს! ყველა ცოდვა ითხოვს გააზრებას!
რატომ არ გაანძრევთ ამ თქვენს ობიან ტვინებს?
რატომ არ ატარებთ აზროვნებით ოპერაციებს?
რატომ ეძებთ ყველაფერში მხოლოდ ემოციურ შემადგენელს?
სულ
რატომ
გეზარებათ
ეს
დედანაქაჩი
ფიქრი?

## ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მოკლედ - არ ხართ ათეისტები. კაცმა არ იცის საერთოდ რა ხართ, მაგრამ ათეისტები ნამდვილად არ ხართ! თქვენ სინამდვილეში მაგარი მორწმუნეები ხართ. ნამდვილი შეშლილი მორწმუნეები. თქვენ, ალბათ, ახლა იმედი გაქვთ, რომ ყველაზე დიდი, ხელოვნების რწმენაში დაგადანაშაულებთ. ძაან თესლ რწმენაში. ძაან. ძაან. ალბათ, გგონიათ, რომ გეტყვით: თქვენ ხართ ქურუმები!
გგონიათ, გეტყვით: ღმერთო, თქვენი ხელოვნება მართლა ძალიან ჰგავს საეკლესიო მსახურებას! თქვენი საგამოფენო პავილიონები ნამდვილი ტაძრებია! თქვენი ბეწვის ქურქები და ადიდასის მოსაცმელები სხვა არაფერია, თუ არა მღვდლის ზედა ფართო და გრძელი სამოსი. ნაიკის ანაფორები. თქვენი ნაიკის ანაფორები არის: ქუუუუუუუულ.
ალბათ ერთი სული გაქვთ ხელოვნების რწმენაში გამხილოთ,
თავები,
ალბათ,
მართლა
ხელოვნების
ქურუმები
გგონიათ,
ნამდვილი
კულტურის
სასულიერო
პირები!
მაგრამ ამ დიდებულ თეატრალურ დარბაზში ახლა გული უნდა დაგწყვიტოთ:
თქვენ
უბრალოდ
ყლეები
ხართ!
აი,
რა!

## ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მოკლედ - გწამთ. თან, ძაან მაგრად გწამთ. ძაან. ძაან. მაგრამ ხელოვნება არ არის ის, რაც გწამთ. თქვენი ხელოვნება ასევე ნამდვილად არ არის ის, რასაც მოწყალების სახით თქვენგან ველით. სინამდვილეში, თქვენგან საერთოდ არაფერს ველით. ნუ შეგვიწუხეთ გულები! ამიტომ მთელი ეს თქვენი სახელოვნებო მოწყალება თქვენს ლეპტოპებში, აიპედებში, სმარტფონებში, თქვენს ინსტაგრამებზე დაიტოვეთ და მისი ხილვის შესაძლებლობა ფართო მასებისთვის შეზღუდეთ პარამეტრით: ონლი მი.
აი, ეს უკვე მართლა იქნება ქუუუუუუუულ.
თქვენ სინამდვილეში არც თქვენი თავის არ გწამთ. და ეს, ალბათ, ყველაზე მშვენიერი რამ არის თქვენში.
თქვენ ფიქრობთ:
"ხალხი ყოველთვის აფრენს, როცა ხელოვნების ფორმები წინ მიდის!"
და თქვენ გინდათ ფიქრობდეთ:
"და შევდივარ ინსტაგრამზე
ინსტაგრამი ჩემი ბაღია
ინსტაგრამი სათბურია
ამ სათბურში ჩემს სხეულზე ყოველ დილით ჩითილი იწყებს ამოსვლას
ინსტაგრამი ჩემი დაცული ტერიტორიაა
ინსტაგრამს სპეციალური სტატუსი აქვს მინიჭებული
ჩემგან
და სხვა ხელოვანებისგან
ინსტაგრამი კულტურული მემკვიდრეობაა
იქ განთავსებული ჩვენი ხელოვნება კულტურული მემკვიდრეობაა
ინსტაგრამი ჩემი დაცული ტერიტორიაა
დაცული მიწა
ჩემი ხელოვნება მიწაა."

## ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ილვიძებ. თვალებს ვერ ახელ და ბალიშის ქვეშ ხელებით ტელეფონს ეძებ. თვალებს ვერ ახელ, მაგრამ ინსტაგრამს ხსნი. თვალებს ვერ ახელ, მაგრამ ყველას ყველა სურათს ათვალიერებ, ყველას ყველა სთორის ნახულობ, სიტყვებს მიღმა გადიხარ, სიტყვიერი მნიშვნელობების მიღმა, სადღაც ტყის უკიდეგანო კიდესთან, ფეხებზე ველური გვიმრა გედება და შენ არ ჩერდები. ტყეში ეს შენი სიარული ბუნებრივი მანიპულაციაა, სიტყვების ბუჩქებს მიაპობ, თვალს ცისკრის მზეს მოკრავ და ამბობ: "პატივისცემა აპოლონს!"
ტყის ალი შენს ბგერებს ირეკლავს და მერე სახეს უცვლის: "პატივისცემა ფიზიოლოგიურ პოეზიას!" სხეული სიტყვებს შორის მოძრაობს, სიტყვები დერეფანს უკეთებენ და შენ ლამაზი ხარ. სიტყვები ენებს იგრძელებენ. იგრძელებენ და გლოკავენ. და მერე ისევ. რა მაგრად გლოკავენ! შენ, როგორც ტყის სპეციალისტი, ინსტაგრამის ბაღებისა და მცენარეების ინჟინერი, უპასუხოდ ტოვებ სიტყვებს. ძირს, ბალახზე და ზემოთ — შენს ილლიაში, ერთდროულად იდება დილის ცვარი. სიტყვების ტყეში

ნიმფები დაძრწიან, ვიღაცის ყლე ხელში უჭირავთ, ფლეიტასავით უჭირავთ. მერე ტუჩებთან მიაქვთ (ყველას მიაქვს) და:
ლა.
ლააა.
ლაააააა.
მცირე ოქტავის სი? პირველი ოქტავის დო? ორკესტრი იმუხლება. ორკესტრი ყლეს გწოვს. სიტყვების ტყეში ჯადოსნური ფლეიტა იწყებს დაკვრას. გარემოს თვალს მოავლებ და: მაყვლის ყვავილობა.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აი, ამას გინდა რომ ფიქრობდეთ. მაგრამ ასე არ ფიქრობთ. ეს მხოლოდ თქვენი დილის კამუფლაჟია. თქვენ არ გწამთ თქვენი გაშენებული ბაღების. თქვენ მთლიანად შიშში ხართ ჩაფლული. და როცა ყოველ დილით იმ შიშით ილვიძებდით, რომ რომელიმე უცხოელი ჰაკერი თქვენს ინსტაგრამზე შემოვიდოდა და მთელ თქვენს ხელოვნებას წაშლიდა, უცებ, გაიღო კარი და არა ჰაკერი, არამედ მე შემოვედი. ტერორისტი. ჩვეულებრივი ტერორისტი. და თქვენ აღარ იცით ახლა საკუთარ თავებზე იდარდოთ თუ თქვენს ხელოვნებაზე. თქვენი რწმენიდან დარჩა:
ნული.
და იმის ნაცვლად, რომ ამბობდეთ: “ჩვენ არ ვიყავით ჩვენი დროის უკომპრომისო მოწმეები. ჩვენ ჩავიჯვით. ბოდიში ამისთვის. მართლა.”
ამბობთ:
არაფერს.
ნული.
ამნეზია.
ოოოჰ, ვწუხვარ, ბიჭებო!

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მაგრად დაგცინებდით, მაგრამ სანამ აქ ვართ, ამ დაწყევლილ თეატრში, სანამ ეს ტერორისტული აქტი არ დასრულებულა “ყველა ერთმანეთი ვართ.”

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თქვენ გწამთ ყველაზე ბანძი რამე, რისიც შეიძლება რომ გწამდეთ. თქვენ პოლიტკორექტულობის მოციქულები ხართ! და უჩემოდაც უნდა ხვდებოდეთ, რომ მაგარი ბანძი რელიგიაა!

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. სექტა ხართ. და თეატრალების ქურქიანი სექტები ყველაზე ბანძი სექტებია კინოს ხალხის სექტის შემდეგ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. იცით ქურქებს როგორ კერავენ? ცხოველს ჯერ კარგად კვებავენ, რომ სწრაფად გაიზარდოს და ბეწვი დაუგრძელდეს, მერე ინექციას უკეთებენ - აძინებენ, რომ გული გაუჩერდეს ან არ აძინებენ და პირდაპირ თავში უტყამენ და არეტიანებენ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. რას იტყვით ახლა რამდენიმე თქვენგანს ეს ავტომატი თავში რომ ჩაგარტყათ და დაგარეტიანოთ?

ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი   ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მართლა კი არა, რას ჩაიჯვით. უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდათ, რომ ახლა თქვენს მახინჯ მხრებზე მოტყუებით გაზრდილი და დარეტიანებული მელიები და წავები გყავთ მოსხმული.
აქედან ცოცხლები თუ გახვალთ, იფიქრეთ, იქნებ რამე კონცეპტუალური კამპანია წამოიწყოთ ეკოლოგიის თემაზე. ასევე რამე წვეულების გამართვაზე იფიქრეთ. თუ ცოცხლები გახვალთ, რამე მტყვნელი წვეულება უნდა მოაწყოთ. ისევ ერთად უნდა იყოთ. იმიტომ რომ ხომ გახსოვთ: “ყველა ერთმანეთი ვართ!”

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ”შეწყდეს წავების უფლებების უგულებელყოფა!” - რამე ასეთი სათაურით და ამავე კამპანიის ფარგლებში შეგიძლიათ დარგოთ ექსვსასამდე ხე. ან ცოტა მეტი. სათაურის უფრო დახვეწაც შეიძლება, რა თქმა უნდა. მთავარია, არ დავივიწყოთ შორეულ 1997 წელს მიღებული დეკლარაცია, რომელიც ამბობს, რომ
ყველა
ყველა
ყველა
ყველა
ყველა
ცხოველს
აქვს
უფლება
იარსებოს
ბიოლოგიური
წონასწორობის
პირობებში.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თქვენც ხომ ინექციით მუშაობთ. ეგრე, ხალხის მიძინებისთვის იყენებთ მაგ თქვენს ხელოვნებას. ტრაკში შეშხუპუნებით.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. როგორც მაგდა გებელსმა მიაძინა საწამლავით საკუთარი შვილები. კაკაოში დასაძინებელი წამალი გახსნა და ბავშვებს დაალევინა. აი, პერფორმანსი!

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. "არასოდეს დაიძინო მარწყვით პირში!"

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მძულხართ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაან მაგრად მძულხართ. ძაან. ძაან. ძაააააააააან.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. როგორი დასანანია, რომ Culture is NOT cancelled.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ჩუმად რატომ ხართ? ვერაფერი გაიგეთ? ვერ მიმხვდარხართ რელიგიურ ნიადაგზე ვაწყობ ტერორს თუ რა ჯანდაბას ვაკეთებ აქ? შემოდით დიალოგში. გამიწიეთ ცოტაოდენი წინააღმდეგობა. აი, ამდენი. არა, აი, ამდენი. აი. გემუდარებით, ნუ ხართ ჩუმად. გემუდარებით, მოიშველიეთ ვინმემ ანტონენ არტო! მითხარით, რომ ის არ დაეთანხმებოდა ჩემს მსჯელობას, რომ, აი, ის კი მართლა დიდ წინააღმდეგობას გამიწევდა ახლა აქ რომ ყოფილიყო. რამე მითხარით! მელაპარაკეთ ასლებზე, იაფფასიან სუროგატ ხელოვნებაზე, ნუ დამტოვებთ ასე ყლეამოგდებულს!

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. სიამოვნებით ავაფეთქებდი ყველა პავილიონს, სადაც საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს ფენთ. არა, ჯერ მოვკვამდი და მერე ავაფეთქებდი. აი, ძაან ბევრს მოვკვამდი.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აი, ამდენს.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. არა, ამდენს.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. და მერე თბილისის “არტ ფეარის” ბროშურით გამოვიწმენდდი ტრაკს.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ვერ ვხვდები თქვენი ბანძი ბიენალეები რატომაა ნაკლებად სახიფათო საზოგადოებისთვის, ვიდრე, მაგალითად, ჩემი ქცევა. რატომ არ გიჭერენ მაგ საქმიანობისთვის? რატომ გაბედინებენ ამღენს? აი, რატომ?!

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. რატომ?

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. უსამართლობაა უბრალოდ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაან. ძაააააან. ძააააააააააან.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. უსამართლობაა იმიტომ რომ, ეგ თქვენი ნამუშევრები, ხელოვნებად რომ ასაღებთ, ბიოლოგიური იარაღია სინამდვილეში. და ამ მასშტაბის უსამართლობა ყოველთვის მანაღვლიანებს. ძაან.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აი, ამხელაზე მანაღვლიანებს.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. არა, ამხელაზე.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მომისმინეთ, იოლი მართლა არაა რაც აქ ხდება: ახალგაზრდები, ბებრები, ისე-რა ბებრები, ცეროზიანი და კიბოიანი მაყურებელი, პრემიერა, სპექტაკლის შემდეგ მსახიობებისთვის მისართმევი ყვავილები, აქ ჩამომსხდარი მთელი ეს საზოგადოება, ბამბახის იაფფასიანი სუნი ჰაერში. მართალი გითხრათ, ეს ძალიან ძნელი ასატანია ჩემთვის.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. რა ღირდა დღევანდელი პრემიერის ბილეთი?

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ მაინტერესებს რამდენი გადაიხადეთ საკუთარ სიკვდილში. ბილეთი. საკუთარი სიკვდილის სანახავად. ასწორებს. მაგრად ასწორებს. რადგან პრემიერეაა, ნაწილი, ალბათ, მოსაწვევებით ხართ. ანუ. მოსაწვევი. ანუ. მოწვეულები ხართ, რომ მერე მომეკალით. ანუ. მე.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ანუ.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ანუუუუუ.

სიჩუმე. ტერორისტი დარბაზს ათვალიერებს, მერე ერთ-ერთი ასაკოვანი მაყურებლისკენ მიდის და ეუბნება:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ქალბატონო, სამწუხაროდ, მაგ წითელ ვარდებს დღეს ველარავის მიართმევთ. აი, ამის გამო.

ხელყუმბარაზე მიუთითებს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. და, აი, ამის გამოც.

ავტომატზე მიუთითებს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მე თუ მკითხავთ, ისედაც სულ ტყუილად იყიდეთ ეგ თქვენი ვარდები. ესენი არაფერს იმსახურებენ.

სცენისკენ მიუთითებს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ჰოდა, არც მიილებენ. თუ წინააღმდეგი არ ხართ, მე მომართვით ეგ ვარდები.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მომართვით, რა!

ხანგრძლივი სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მომართვით ეს დედამოტყნული ვარდები!

შეშინებული მძევალი ხელებში აჩეჩებს წითელი ვარდების უზარმაზარ თაიგულს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. დიდი მადლობა. უაღრესად თავაზიანი ბრძანდებით. ასაკის მიუხედავ, აშკარაა, რომ თქვენ ხართ: Fucking Young. მართლა ძალიან გამახარეთ. ძალიან ახალგაზრდულად გამახარეთ. ვარდები ყოველთვის მიყვარდა. თან, მშია. არავინ იცის რამდენ ხანს მოგვიწევს აქ ყოფნა. საჭმელს, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ შევჭამ.

ტერორისტი ღეროდან ყვავილს აცლის და ჭამს.
ასაკოვანი მძევალი სკამის საზურგეს ეკვრის

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ბი ნოთ ეფრეიდ, ქალბატონო.

ტერორისტი მეორე ვარდს ჭამს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ახლა თუ შეიძლება ეს სიმღერა მიმღერეთ: “შემოდგომის ყვავილებს, დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან. ვარდები არ არიან, მაგრამ რა მევარდება?”

შეშინებული მძევალი ჩუმადაა. ტერორისტი მესამე ვარდს ჭამს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მიმღერეთ.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მიმღერეთ, ძალიან გთხოვთ.

უფრო ხანგრძლივი სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააა!!!

მის გვერდით მჯდომი მეგობარი, რომელიც აქამდე გასუსული აკვირდებოდა მძევლისა და ტერორისტის

ურთიერთობას, შეშინებულ მეგობარს ხელს ხელზე ადებს და ეუბნება:

უმღერე, ლამარა!

მძევალი არაჩვეულებრივად მღერის

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. WOW, რა სიგიჟეა?! Yes! მომწონს!

მძევალი ისევ მღერის

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ვიცი, თქვენი "მომავალი რომ გცოდნოდათ, საერთოდ არ ადგებოდით ამ დილით საწოლებიდან."

სიმღერა გრძელდება.ამ ორ რეპლიკას შორის, ამ ერთი მოკრძალებული რემარკის მეშვეობით გადის 12 საათი.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. სამწუხაროდ, ალბათ, ყველანი ცოცხლები გავალთ დღეს აქედან. თუ თქვენმა საყვარელმა პოლიციამ რამე ანცი საქციელი არ ჩაიდინა. საყვარლები. ძაან. აი, ძააააან. მართლა.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. იქნებ იყოს თქვენში ვინმე ისეთი, ვინც ამდენი საათის შემდეგ მაინც დააკმაყოფილებს ჩემს ცხოველ ინტერესს და მეტყვის რატომ არის ვარდი წითელი?

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. რატომ არის ვარდი წითელი?

ხანგრძლივი სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. რატომ არის ვარდი ჩაჯმამღე წითელი?

ძალიან ხანგრძლივი სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. კარგი. Small talk კულტურა გვაკლია!

პარტერში უძრავად მსხდომი მძევლები ძლიერ დაღლილები ჩანან, ძლიერ აღგზნებულები. ერთადერთი, რასაც არ გრძნობენ მოწყენილობაა. მართალია, დარბაზში დუღილის ტემპერატურა უკვე რამდენიმე საათია დავარდნილია და ტერორისტული აქტი მძევლების აღქმაში შეუხრელად მიიწევს ეგზოტიკიდან რუტინისკენ, მძევლები

გაქანცულები, მაგრამ სრულიადეგზალტირებულები არიან. ტერორისტი ჯიხურში ჩაკეტილ თეატრის ხმის დიზაინერს შორიდან უღიმის და ხელს უქნევს. მძევლებს საპირფარეშოთი სარგებლობა აკრძალული აქვთ. მათთვის მხოლოდ ოთხივე მხრიდან ჩაკეტილ პარტერში გადაადგილებაა ნებადართული. რამდენიმე დაღლილი ადამიანი რიგებს შორის დაბარბაცებს. ტერორისტი ჩამოვლას გადაწყვეტს. თან, ჩაკეტილ კარებს ამოწმებს. მისი მიახლოებისას ვარდებზე მომღერალი მოხუცი ქალის ასევე მოხუცი მეგობარი ტერორისტის გასაგონად ძალიან არადამაჯერებლად თვალთმაქცობს:

რა კომფორტული სავარძლებია, არა, ლამარა?

ტერორისტი. არაა მასე. რავი, რაღაც პონტში ბანძია. ხუთი წუთი ვიჯექი და ტრაკი მაგრად მეტკინა.

სიჩუმე. მერე მთელ დარბაზს გასძახებს:

ტერორისტი. აღარ იცით ხომ რა გააკეთოთ დროის სიჭარბისგან თავდასაღწევად? უკვე ველარ ვხვდები ეს თქვენი მარტოობის გარინდებულ საღამოთა შიშის სუნია თუ შეუკავებლობამ იჩინა თავი? ვერ ვხვდები, გეშინიათ თუ ჩაიჯვით?

სიჩუმე

ტერორისტი. რაღაც პონტში გაასწორებს იმის ყურება როგორ ისაქმებენ თქვენნაირი ამპარტავანი ადამიანები აკადემიური თეატრის ხავერდგადაკრულ სავარძლებზე. ასე. პირდაპირ. მართლა გაასწორებს რაღაც პონტში.

სიჩუმე

ტერორისტი. მაგარი არასწორია კიდევ თქვენ რომ ჩაისვარეთ. თქვენს მართალ ტრაკებს ახლა მთელ გამზირზე განლაგებული პოლიციის დანაყოფები იცავენ. ჩემი ტრაკი კი, ანუ ის ტრაკი, რომელიც ერთადერთია აქ არსებულ 779 ტრაკს შორის, რომელსაც მართლა ემუქრება საფრთხე… მოკლედ, არასწორია. არასწორია და უსამართლო. ისიც არასწორია, მე რომ ახლა შიმშილით კუჭი მიხმება ამ გაოფლილ დარბაზში და თქვენ რასაც ქვია ერთი სული გაქვთ შუბლიდან ავტომატი მოგაცილონ და მოჯმის უფლება მოგცენ.

სიჩუმე

ტერორისტი. ერთი საკაიფო ალაფურშეტი, აი, რა გაასწორებდა ახლა! აქვე. ფეხზე დგომით. პირდაპირ რიგებს შორის. პირდაპირ წითელ ხალიჩაზე დავუშვებდით საჭმლის ნამცეცებს. მაგრამ ალაფურშეტი არ იქნება. საერთოდაც, არაფერიც არ იქნება. მე რომ ახლა საჭმელი მოვითხოვო,

უეჭველი რამდენიმე იდიოტი პოლიციელი უნდა შემოაპარონ, მე ხომ ვიცი?! კარგად ვიცნობ ამათ ბუნებას.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ, საჭმელს არა და ანტიდეპრესანტებს კი დალევდით ახლა შამპანურის ფუჟერებით.

სიჩუმეში პოლიციის დამატებითი ბრიგადების სირენის ხმა შემოდის

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ოპაა. ოოოჰჰჰ. მმ. "ამერიკა, ნუ გამიხურე, კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ."

სიჩუმეში სირენების ხმა მატულობს.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. Damn, რა საყვარელი ხმებია, რატომ გაგრძელდა მხოლოდ 6 წამს?

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. კარგი, ჩართეთ ვიღაცამ ეხლა ლაივი ფეისბუქზე. ყველა დავიღალეთ.

ერთ-ერთი მძევალი ფეისბუქის ლაივში გადის. დანარჩენები ინტერესით უყურებენ ტერაქტის მეორე მოქმედების დაწყებას. დანაშაულის ანტრაქტი დამთავრებულია. ტერორისტი სმარტფონიან მძევალს უახლოვდება და კამერაში მკაფიოდ ამბობს:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მოკლედ, თუ გინდათ, რომ ეს ხალხი ცოცხალი დარჩეს, ეს თეატრი უნდა დაიხუროს. და თან, დროებით კი არა, სამუდამოდ. სულ. სუულ. აი, სუუუუულ. მე მეტი მოთხოვნა არ მაქვს. როცა სახელმწიფოსგან თანხმობას მივიღებ, აქაურობას რამდენიმე მძევალთან ერთად დავტოვებ. ჩემთან ერთად წამოვა დღევანდელი სპექტაკლის რეჟისორიც. მისი ამ კედლებიდან გაყვანა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მერე გავუშვებ. არც კი გაივლოთ თავში, რომ სიურპრიზებს მომიწყობთ. არ მევასება. მაგრად არ მევასება.

ტერორისტი ლაივს თიშავს და მიდის. გზაში ახსენდება, რომ რაღაცის დამატება უნდა და:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. თავიდან ჩართე.

მძევალი ფეისბუქის ლაივში ხელახლა გადის

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ჰო, კიდევ: ენა გამოასწორეთ. ბანძი ქართულით ნუ საუბრობთ, თორემ აქ ყველას ამოვხოცავ. ყველას გეხებათ, დარბაზში მსხდომებსაც და ეკრანებთან მყოფებსაც. გავიგე, რომ

ხელოვნება არ გივარგათ, მაგრამ კარგი ქართულით ლაპარაკს რა უდგას წინ? არ ვხუმრობ. ერთ ბანძ სიტყვას მაინც გავიგონებ და ერთ მძევალს მოვკლავ. ერთი ბანძი სიტყვა - ერთი მძევალი.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი  ლ ა ი ვ ს  თ ი შ ა ვ ს  დ ა  ე რ თ-ე რ თ ი  ლ ო ჟ ი ს კ ე ნ  მ ი დ ი ს,  ს ა დ ა ც  ა რ ტ კ რ ი ტ ი კ ო ს ე ბ ი  ს ხ ე დ ა ნ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მაგარი ბოტასები გაცვია. ძალიან მაგარი ფეხსაცმელებია.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. შეგიძლიათ მიწეროთ თქვენს ახლობლებს ესემესი: *„ამ წყეული სპექტაკლის ნაცვლად, თავი ტერორიზმში ამოვყავი. არ ინერვიულო, მოკვლას, მგონი, არ გვიპირებს."*

ს ი ჩ უ მ ე შ ი  მ ძ ე ვ ლ ე ბ ი  ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ს  ჩ ქ ა რ-ჩ ქ ა რ ა  ი ღ ე ბ ე ნ  დ ა  შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ე ბ ს  ნ ე რ ვ ი უ ლ ა დ  გ ზ ა ვ ნ ი ა ნ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ესემესის წერისას პუნქტუაცია დაიცავით! ქართულზე რაც ვთქვი ხომ ყველამ კარგად გაიგონეთ?

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აბა, ყველამ თქვით: ჩუბიკას წვეულებაზე მართლა კარგად მოვილხინეთ. თქვით! და არასდროს, არასდროს, არასდროს არ თქვათ: ფართი. არასდროს, არასდროს არ თქვათ, რომ ჩუბიკას ფართიზე მართლა კარგად მოილხინეთ. ვერ გაიგეთ რა ვთქვი? თქვით-მეთქი, ყველამ! მიდი, მეც ვიტყვი თქვენთან ერთად. თუ გერიდებათ, მეც ვიტყვი თქვენთან ერთად. მოდი, ყველამ ერთად ვთქვათ: ჩუბიკას წვეულებაზე მართლა კარგად მოვილხინეთ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ანუუუ.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. იტყვით, თუ ავტომატის ჯერი დაგაცალოთ ოფლიან საფეთქლებზე? ანუ.

პ ა რ ტ ე რ ი  გ ა უ ბ ე დ ა ვ ა დ  ა მ ბ ო ბ ს:

ჩუბიკას წვეულებაზე მართლა კარგად მოვილხინეთ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. არა. არა. ასე არა. ერთად! მეც ვამბობ. ჩუბიკას. წ ვ ე უ ლ ე ბ ა ზ ე. მართლა. კარგად. მოვილხინეთ.

პ ა რ ტ ე რ ი  ე რ თ ხ მ ა დ,  მ ც ი რ ე დ ი  ა ს ი ნ ქ რ ო ნ ი თ  ა მ ბ ო ბ ს:

ჩუბიკას წვეულებაზე მართლა კარგად მოვილხინეთ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაან.

პ ა რ ტ ე რ ი. ძაან.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაააააან.

პ ა რ ტ ე რ ი. ძაააააააააან.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაააააააააააააააააააააან.

პ ა რ ტ ე რ ი. ძაააააააააააააააააააააააააააააააააააააააააან.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ვინმემ თეატრის შესახებ არსებული კონცეფცია დავრღომილად და მკვდრად უნდა აღიაროს. რაღაცა ისეთად, რაც გამოშიგნეს. ვიღაცას უნდა ეყოს ამის ტრაკი ბოლოს და ბოლოს. “აშკარაა, ეს ჩემი ახალი ფიქრია.”

ს ი ჩ უ მ ე. ტ ე რ ო რ ი ს ტ ს კ ო ლ ო კ ბ ე ნ ს. ტ ე რ ო რ ი ს ტ ი უ ხ მ ო დ დ ა ჰ ყ უ რ ე ბ ს ხ ე ლ ი ს მ ტ ე ვ ა ნ ს. მ ე რ ე ი ფ ხ ა ნ ს.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. კოლოებმაც კი იციან რას ჩადიან. აი, თქვენ კიდევ აზრზე არა ხართ. სცენაზე ნამდვილი ყლეებივით დააბიჯებთ. კარგი იქნებოდა თქვენთვის ვიღაცას ფეხებში ტყვია დაეხალა.

ს ც ე ნი ს კ ე ნ ი ყ უ რ ე ბა დ ა მ ს ა ხ ი ო ბ ე ბ ს მ ი მ ა რ თ ა ვ ს.
ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. “თეატრში რომ ვზივარ,
ამდაგვარ „სიბრძნეებს“ როგორც დავინახავ,
მაშინვე ერთი წლის სიცოცხლე მაკლდება...
...ო, მეტი აღარ თქვა, თორემ ვაღებინებ.”

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. აი, რა მძულს მე თქვენში:
სიტყვათა წარმოთქმის მანერა
თვალების გადმოკარკვლა
ვითომ მოულოდნელი შეკივლებები
მაყურებლის გასაცინებლად მენჯებსა და ტრაკში გასასუქებლად ჩაფენილი ბალიშები
ყალბი მზერები
ხმის დაბოხებები
კილო-ნახევარი რუსული გრიმი

დისფონია
თქვენი დამპალი ხმის წარმოქმნის დარღვევა. გეგონება, მაგ ხორხზე დაქოქილი მოტოციკლები გამოგაბეს და ისე ლაპარაკობთ. ხრიალებთ რასაც ქვია. ბლუით. თან სულ მაგარ ტექსტებს. ანუ. მართლა მაგარ ტექსტებს. ოღონდ, თქვენი ბანძი ხმით. ანუ. ღმუით. ევრიპიდეს ამბობთ და ამბობთ ბანძი ხმით. მოტოციკლის ხმით ამბობთ ევრიპიდეს. ასე არ შეიძლება!

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მშია. ძაან. ძააააან. ვიცი, რომ თქვენც. უკვე რამდენი ხანია აქ ვართ. რამე ძაან არაარტისტულს შეჭამდა კაცი. მსუყეს. ნაწლავების გადახლართვამდე.

ე რ თ-ე რ თ ი მ ძ ე ვ ა ლ ი მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ ა ტ ი რ დ ე ბ ა. ტ ე რ ო რ ი ს ტ ი ა მ ჩ ნ ე ვ ს და მ ი ს კ ე ნ მ ი ი წ ე ვ ს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ბი ნოთ ეფრეიდ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი მ ძ ე ვ ლ ი ს კ ე ნ ი ხ რ ე ბ ა დ ა ტ უ ჩ ე ბ შ ი კ ო ც ნ ი ს. მ ე რ ე უ მ ე ო რ ე ბ ს:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ბი ნოთ ეფრეიდ. ბი ნოთ ეფრეიდ. თქვენც გშიათ? თუ რატომ ტირით? ჩემგან განსხვავებით თქვენ ალბათ რამე უფრო მსუბუქს ისურვებდით. მაგალითად, ავოკადოს პუდინგს. იცით მისი მომზადება?

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. გასწავლით და თუ სახლში ცოცხალი დაბრუნდებით, აუცილებლად მოამზადეთ. უგემრიელესია. თუმცა საჩემო არაა. მოკლედ, დაგჭირდებათ 1 ცალი მწიფე ავოკადო, 2 სუფრის კოვზი თაფლი, 2 სუფრის კოვზი ვანილის ექსტაქტი (როგორ ჰგავს ეს სიტყვა "ტერაქტს"! მიყვარს ქართული!), ½ ჭიქა იოგურტი, 2 სუფრის კოვზი დაჭრილი ნუშის თხილი.

ს ი ჩ უ მ ე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მოათავსეთ ავოკადო, თაფლი, ვანილი და იოგურტი კომბაინში, მიიყვანეთ პუდინგის კონსისტენციამდე, გადაანაწილეთ ჭიქებში და მოაყარეთ ნუშის თხილი. თუ ტროპიკული გემოების მოყვარული ბრძანდებით, მანგოს ფრეში დაამატეთ.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი ა ტ ი რ ე ბ უ ლ ი მ ძ ე ვ ლ ი ს გ ვ ე რ დ ი თ მ ჯ დ ო მ ც ნ ო ბ ი ლ ხ ე ლ ო ვ ა ნ ს შ ე ა მ ჩ ნ ე ვ ს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ოჰჰჰ. მმმ. უაჰჰჰ. მიყვარს ცნობილი ადამიანები! ყველაზე მეტად მიყვარს ცნობილი ხელოვანები. ანუ. თქვენნაირი. ანუუუ. ეხლა ჩამოვთვლი ეგეთებს:
ნიკოლ კიდმანი
ჯორჯ მაიკლი
ქეით უინსლეტი
სინდი კროუფორდი

პრინცი
არეთა ფრანკლინი
კოლინ პაუელი
ილონ მასკი
ჯანი ვერსაჩე
ივ სენ-ლორანი
გრეტა გარბო (ძველებიც ვიცი)
ლედი გაგა
ტილდა სუინტონი
ჩაველა ვარგასი
ლელა წურწუმია
ჟანა მორო
პიტერ ბრუკი
ბონგ ჯუნ ჰო (დავიცვათ ბალანსი აღმოსავლეთით)
ბიორკი
მარადონა

ვიცი, რომ ამათგან ყველა ხელოვანი არ არის, მაგრამ ეგრე არც თქვენ ხართ ყველა ხელოვანი, საქმე საქმეზე თუ მიდგა. ყველა კი არა, საერთოდ არ ხართ. და თუ ხართ, ტრაკში არავის გაერჭოთ მაგ თქვენი ხელოვნებით. დახურეთ ეს დედამოტყნული თეატრები და გალერეები, ბოლო-ბოლო კარდაშიანებმა დახურეს თავიანთი 13 წლიანი სატელევიზიო სერიალი. ჭირის ოფლს მასხმას თქვენ რომ გიყურებთ. თქვენს ხელოვნებაზეც ეგრე. როდის უნდა მიხვდეთ, რომ მაგარ წინააღმდეგობაში ხართ საგნებთან?! მართლა მაგრად მძულხართ.

სიჩუმე

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. იოლი ნაღდად არაა თქვენი ყურება: დასაბერებლად გამზადებულები, ვილაცები უკვე დაბერებულები, ნატანჯები, ყველაფრის მიუხედავად მაინც ანცები. ამ თეატრის სკამებზე ჩამომსხდარი სუპერავანგარდული საზოგადოება. სუპერ. სუუუუპერ. თქვენ ველარ გაექცევით პასუხისმგებლობას. ანუ. ყველამ უნდა იცოდეს რა გიკეთებიათ იმ თქვენს სახელოსნოებში და არტ რეზიდენციებში. ანუუუუ. ეხლაც, ამ ოფლის თხელი ფენის ქვეშ რაღაცა საეჭვო ღიმილით უღიმით ერთმანეთს. გეგონება, რამის ტრაკი გქონდეთ, გეგონება, ახლაც, ამ წამს, მაგრად არ იჯვამდეთ ამ ხავერდის წითელ სავარძლებზე. მე ხომ ვიცი, რომ იჯვამთ. აი, ეს საუცხოო ავტომატი გამყოფებთ ფორმაში. ვაფასებ, როგორ ინარჩუნებთ სალამოს მაკიაჟს ქალები და ძუნწ ელეგანტურობას კაცები. მაგრამ.
ჩემი მოვარდისფრო ტუჩებიდან გამოსული ულამაზესი სიტყვა: “ამფეთქი”
და
თქვენი
ნაწლავები
უკვე
მართლა
ველარ
შეიკავებს

შიშის
ნაკადებს.

<u>ს ი ჩ უ მ ე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. შეგვიძლია აი, ამ კვამლგამჩენი ხელყუმბარით წავითამაშოთ. დამიჯერეთ, მართლა მაგრად გავერთობით. თქვენ ხომ მაგრად ამუღამებთ კვამლს სცენაზე. ლურჯი შუქი და რამე.

<u>ს ი ჩ უ მ ე</u>

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. და მერე კიდევ ერთი ლამაზი სიტყვა: “ცლა”
და
კიდევ ეგეთი:
“სროლა”
ან უფრო ინტენსიური:
“დახლა”
და
ჩამჭრელი შეკითხვა, რომელსაც მე გისვამთ:
“კი მაგრამ, თქვენ გაქვთ ნებართვა ამ ხელოვნების საკეთებლად? აი, მე კიდევ მაქვს ნებართვა ამ კოპწია ავტომატის ტარებაზე. და კიდევ მაქვს:
განცხადება
შეძენის ყუა
ამ ჩაჯმულ ქვეყანაში ბინადრობის მოწმობა
ცნობა პირადად თქვენგან და თქვენი ხელოვნებისგან მომსპარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
გაქვთ თქვენი ხელოვნება ლეგალიზებული?
თქვენი
ბანძი
ფუჭი
ვაზნები.
ტრაკში უნდა გაგიკეთოთ კაცმა ეგ ობიექტები, ერთმანეთთან არაფერ კავშირიში მყოფი საგნები. სხვადასხვა მედიუმებში ქაოტურად გაბნეული მძღნერი, ნამუშევრებს რომ უწოდებთ და ურცხავდ ფენთ თეთრ ნესტიან გალერეებში.
რატომ
არ
ისჯებით?
რატომ
არასდროს
არავინ
არ
მოგთხოვათ
პასუხი

ამ
ნაგვის
დახვავებისთვის?
რატომ
არავინ
გასწავლათ
რომ
ხელოვნება
ინდივიდუალურ
აზრებს
უნდა
წარმოქმნიდეს?
რატომ
გავხართ
ყველანი
ასე
საშიშად
ერთმანეთს?
რატომ
არ
ცხადდება
კანონგარეშედ
თქვენი
წარმოსახვა?
რატომ
არავინ
აკრძალა
ამ
დრომდე
ყველა
ის
სამუშაო
ტექნიკა
თქვენ
რომ
იყენებთ?
---------------------------------------------------------------
ვინმე მეტყვის რატომ არის ვარდი წითელი?
---------------------------------------------------------------
დავაჯვი თქვენი გონების ყველა სპეციფიკურ უნარს!
დავაჯვი თქვენს: ჩანაფიქრს
პროპორციას
იდეას

მელოდიას
კონტურს
ფერს
ტექსტურას
ჰარმონიას
ყველა თქვენს მატერიას დავაჯვი.
და იცოდეთ: ამ გაჩახჩახებულ დარბაზში ვინმეს ბინძური პირიდან ერთხელ მაინც ამოვა სიტყვა:
"კრეატიული"
და
აი
ამ
ბელგიურ
ყუმბარას
შიგ
ხახაში
ჩაგთხრით!
არა!
სწორ
ნაწლავში
გაგიკეთებთ!
არც
ძაან
ღრმად
არც
ძაან
გარეთ!
როგორც
თქვენი
ხელოვნება:
არც
ძაან
იქით,
არც
ძაან
აქეთ.

ე რ თ-ე რ თ ი  მ ძ ე ვ ა ლ ი,  რ ო მ ე ლ ი ც  მ თ ე ლ ი  ე ს  დ რ ო  ჩ უ მ ა დ  ი ჯ დ ა,  ც რ უ  მ ძ ე ვ ა ლ ი  ა ღ მ ო ჩ ნ დ ე ბ ა,  ი ს  თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ს  ზ ე დ ა  ი ა რ უ ს ი დ ა ნ  გ ა დ მ ო ს ძ ა ხ ე ბს:

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. მართლა გგონია, რომ რამეს შეცვლით?

ს ი ჩ უ მ ე.  ტ ე რ ო რ ი ს ტ ი  ა ხ ე დ ა ვ ს,  მ ა გ რ ა მ  ა რ  პ ა ს უ ხ ო ბ ს.

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. გგონია, რომ ამ ქვეყნიდან წავალთ?

ს ი ჩ უ მ ე. მ ძ ე ვ ლ ე ბ ი დ ა ბ ნ ე უ ლ ე ბ ი შ ე ს ც ქ ე რ ი ა ნ ა რ შ ე მ დ გ ა რ დ ი ა ლ ო გ ს პ ი რ ვ ე ლ დ ა მ ე ო რ ე ს ა რ თ უ ლ ე ბ ს შ ო რ ი ს.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. წავალთ.

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. ნუ აფრენ ერთი! ჩვენ არსად არ წავალთ. ჩვენ აქ გავიხრწნებით. იმედით, რომ ვცვლიდით რამეს, ამათ დავემსგავსებით.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. გადი, რა!

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. ამათ დავემსგავსებით!

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მოდი, გააჯვი, რა!

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. აგეწვა?

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ძაან, აი. მგონი, მეტირება თუ რაღაც ეგეთი.

ს ი ჩ უ მ ე.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მგონი, მართლა მეტირება.

ს ი ჩ უ მ ე.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მაგრამ ხომ არ გგონია, რომ ეგ შენი ბანძი სიტყვები იწვევს ჩემში პესიმიზმს? მშია, შეჩემა! ვკვდები, ისე მშია! გული მიმდის! დავეცემი ახლა აქ! და ჩემი დაცემა არავის არ გაწყობთ იმიტომ რომ, მე თუ დავეცემი, ეს ჩემი გახსნილი ბელგიური ხელყუმბარა 0.2 წამში ამოქმედდება და: ოოოოოოოჰჰჰ. მმმმ. უჰჰჰ. სადღაა შენი აკადემიური თეატრი.

ს ი ჩ უ მ ე. თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი ა ღ ა რ უ ს მ ე ნ ს. თ ა ვ ი ტ ე ლ ე ფ ო ნ შ ი ა ქ ვ ს ჩ ა რ გ უ ლ ი დ ა რ ა ღ ა ც ა ს კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს.

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. Good news: კულტურის სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს მოლაპარაკების დასაწყებად. ახლა დაიწერა.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მშია, მაგათ ვერ დაველოდებით! ნუთუ შენ არ გშია?!

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. რა დროს ჭამაა, მოდიან ტიპები მოლაპარაკებაზე. იმენა მზად არიან ჩვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მართლა არ გშია? ბოლოს როდის ვჭამეთ? მაყლეებ რასაც ქვია!

თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ვ ე ლ ი. უკვე ვხედავ როგორ ამშვენებს მინისტრის კლაკნილი ხელმოწერა ამ დადგმის რეჟისორის გათავისუფლების ბრძანებას. მიყვარს პრინციპული და თანმიმდევრული ხალხი. ასეთი მინისტრები ხომ საერთოდ! იტყვის და ასრულებს. იტყვის და ასრულებს. ითხოვს ტერორისტი? მძევლები საფრთხის ქვეშ არიან? 778 არტისტია გადასარჩენი? ხოდა, ნახუი ერთი ავტორიტეტი. ნახუი, ერთი თეატრი. აშკარად ესმის ტიპს, რომ კულტურა ცოცხალი პროცესია. ერთი თეატრი იქით, ერთი თეატრი აქეთ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. არ აქვს! იმენა მეკეტება ასეთ ხალხზე!

ტერორისტს აშკარაა აღარაფერი ესმის, თვალებს აქეთ-იქით ბავშვივით აცეცებს, შიმშილის ოფლი ედება სახეზე. ჯიბიდან გადანახულ, ვარდის უკანასკნელ ყვავილს ამოიღებს და ხარბად მოკბეჩს.

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. მშია, ცუდად ვარ! ახლა უკვე მართლა ძაან ცუდად ვარ!

სიჩუმეში სცენაზე ადის და მძევლებს მიკროფონში მიმართავს:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. “თქვენი არ იყოს, მე აქ ყოფნა არავისთვის მითხოვია. უბრალოდ აქ ვარ და მორჩა. სხვა დანარჩენებიც აქ არიან. ჩვენ ყველანი აქ ვართ, მაგრამ ეს ხომ არავისთვის გვითხოვია.
ეს ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის.”

ის სცენაზე ჯდება და საკუთარი სხეულის ჭამას იწყებს

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ნუ მიყურებთ ასე, მშია!

ჯიხურში ჩაკეტილი ხმის დიზაინერი მუსიკას ჩართავს, გამნათებელი მკვეთრ სხივში აქცევს სილუეტს, უშვებენ დახრჩობამდე ბერვ კვამლს.
778 მძევალი სუნთქვაშეკრული მისჩერებია ტერორისტს, რომელიც სცენიდან იმ რეკვიზიტს იღებს, ჯოს როლის შემსრულებელს რომ დაუვარდა შიშისგან კარის შემომტვრევისას.
ტერორისტი ლითონის კოვზით იგლეჯს და ჭამს საკუთარი ხორცის ნაწილებს.
პირველ რიგში მჯდომი ერთი ეგზალტირებული მძევალი ვეღარ ითმენს, ფეხზე დგება და:

“მიირთვი! გემრიელად მიირთვი! ეს კოვზი არის “რკინა ხორცთა ამოსაღებელი”, ხოლო შენ ხელოვნება ხარ.
შეჭამე.

შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.
შეჭამე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გაუგე საკუთარ სხეულს. დააკვირდი რა ემართება, როცა საჭმელს ღამით მიირთმევ.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.
მიირთვი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
კიდევ.
და კიდევ.
და კიდევ.
და კიდევ.
და კიდევ.
და კიდევ.
და კიდევ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გადაიღე.

გადაილე.
გადაილე.
გადაილე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. დაიმატე, ნუ მოგერიდება.
დაიმატე.
დაიმატე.
დაიმატე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ნუ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მოგერიდება.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. აივსე შენი ხორცით ნაწლავები. აივსე შენი თავით. აივსე შენი ხელოვნებით. აივსე ნაწლავები ამ დიდებული მოწყენილობით. აივსე.
აივსე.
აივსე.
აივსე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. აივსე და შენი მომწამვლელი ხელოვნება შენს სხეულში შლაკებს წარმოქმნის, გაუხსნელ და გადაუმუშავებელ ნივთიერებებს, ანუ პათოლოგიურ წარმონაქმნებს, რომელიც შედგება ლორწოსგან, ფეკალური მასებისგან, მავნე ტოქსინებისგან, დაწყებული და მიტოვებული ნამუშევრებისგან, ჩარჩენილი, მოუნელებელი პრეპარატებისგან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მხოლოდ ნედლ, გადაუმუშავებელ ხელოვნებას შეუძლია ჩავიდეს კანის ყველა შრეში.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. დაიცვას.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და აღადგინოს.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მხოლოდ მინარევებისგან თავისუფალი ხელოვნება არის უსაფრთხო!

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი ხელოვნება ნედლი არ არის.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი ხელოვნება კლავს და აზიანებს.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ამიტომ გამოდევნე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა გამოდევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შეჭამე შენი თავი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. და მერე გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე.
გამოღევნე.
გამოღევნე.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გაიწმინდე შენი კუჭ-ნაწლავი შენი ხელოვნებისგან. გამოღევნე მძიმე მეტალები. გამოღევნე. შეიმცირე ქოლესტერინი სისხლში. გამოღევნე ხელოვნება და მოიშორე ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე.
გამოღევნე.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მხოლოდ ნედლ ხელოვნებას შეუძლია ღრმად შეაღწიოს ნაწლავის კედლებში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მხოლოდ გაუზავებელ ხელოვნებას.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგრამ შენი ხელოვნება ასეთი არაა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენი ხელოვნება ასლია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მხოლოდ პირველად ხელოვნებას შეუძლია დაიწყოს წლობით ჩაკირული შხამების გამოღევნა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგრამ შენი ხელოვნება ასეთი არაა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე ტოქსინები შენი ლამაზი სხეულიდან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე ტოქსინები უკანა ტანიდან.
გამოღევნე.
გამოღევნე.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე შხამები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე იმიტომ რომ, ეს შხამები გხვდება ყველა ფეხის ნაბიჯზე.
წყალში.
არაჯანსაღ საკვებში.

უხარისხო კოსმეტიკაში.
საყოფაცხოვრებო ხსნარებში.
სინთეტიკურ ტანსაცმელში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უმთავრესი წყარო კი არის:

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვნება.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვნება არის ქელე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მხოლოდ პირველად ხელოვნება არის სუფთა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და უსაფრთხო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გაზავებული ხელოვნება არის:

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სახიფათო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გაითავისუფლე ძვლები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გაითავისუფლე ნაწლავები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გათავისუფლდი ამ მონოტონური დიდებულებისგან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გამოღევნე.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გამოღევნე ხელოვნება იმიტომ რომ, ის ძალიან დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ორგანიზმს.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩემი თვალთახედვით, ნაწლავები ფანჯარაა, რომელიც შენს გამოღევნილ ხელოვნებას გარესამყაროსთან ხელახლა დააკვაშირებს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ნუ მიხურავ ამ ფანჯარას.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გთხოვ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გთხოვ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ნაწლავებიდან გამოღევნილი შენი ხელოვნება გეუბენა:

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მარად გახსოვდე”.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. თუ ხელოვნებისგან საკუთარ თავზე რამეს შევიტყობთ…

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაშინ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მაშინ, საფიქრებელია, რომ, თავის მხრივ, ხელოვნებაც რაღაცას გაიგებს ჩვენგან.”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. სწორედ ხელოვნებისგან დალექილი შლაკები და ტოქსინებია მრავალი დაავადების გამომწვევი, ისინი ასუსტებენ იმუნიტეტს, აფუჭებენ სახის კანს და ხელს უწყობენ სტრესისა და დეპრესიების წარმოქმნას. ჩვენი ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ თვითონ დევნის ყველაფერს, რასაც ზედმეტად ჩათვლის, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ თვითონ ვეღარ ახერხებს მარტო გამკლავებას და ამიტომ:

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ გამოღევნე.
გამოღევნე.
გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ, აქ შეკრებილი ხელოვანები ტერორისტისგან ვსწავლობთ თანალბობას.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ეს ჩვენ ძალიან გვზრდის.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ტერორიზმი წმენდს ჩვენს გონებას და სხეულს ზუსტად ისე, როგორც ხელოვნება ნაწლავებს შლაკებისგან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ტერორიზმი ხელოვნებაა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ტერორიზმი პოეზიაა”.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ტერორიზმი მოწყენილობისგან კურნავს. და კურნავს სამუდამოდ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ შენგან უდიდესი გაკვეთილი მივიღეთ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. დღეს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. აქ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამ თეატრის დარბაზში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. თეატრი გაკვეთილია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. თეატრი ტერორიზმია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. სახელმწიფო თანაბრად მარცხდება მათთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ამიტომ სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს ტერორიზმის და თეატრის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო ქუჩა-ქუჩა დაეძებს ტერორიზმსა და თეატრში ეჭვმიტანილებს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "უმკაცრესად დავსჯით ტერორისტებსა და თეატრალებს."

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ დღეს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი მეშვებით ვხვდებით, რომ ეს ერთი და იგივეა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ტერორიზმი თეატრია და თეატრი ტერორიზმია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ისინი, ერთად მოთავსებული ერთ წინადადებაში, ტავტოლოგიაა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ამიტომ თქვი მხოლოდ "თეატრი".

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ან მხოლოდ "ტერირიზმი".

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ნუ უტყვი ერთად. ეს ენის წესების დარღვევა იქნება.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. უხეში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. უხეში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. უხეში დარღვევა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ენის.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ენამ შეიძლება დაგვსაჯოს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ის მკაცრია და დაუნდობელი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. როგორც შენ გვასწავლე აქ ყოფნისას.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამ ჩაკეტილი საათებისას.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამიტომ მოერიდე ტავტოლოგიას.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. თქვი მხოლოდ “თეატრი”.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ან მხოლოდ “ტერორიზმი”.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და იფიქრე იმაზე, რას ებრძვის ეს ხალხი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. (ტერორისტები და თეატრალები)

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. იფიქრე იმაზე, რისთვის იფეთქებენ თავს ხელნაკეთ, კუსტარულ ნაღმებზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და რისთვის აფეთქებენ უდანაშაულო მსმენელებს, მაყურებელებსა და დამთვალიერებლებს!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს უგულო, თავზეხელაღებული ხელოვანები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს კამიკაძე არტისტები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ხელოვნება ნაღმია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მიდი, დადგმი რამე ბომბა!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ბომბა-სპექტაკლი!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “გამოძერწე ბომბა-ქანდაკება!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “დაწერე მტყვნელი, ბომბა ტექნო!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ბომბა!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “დახატე ბომბა!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ბოოოოოოოოოოოოოოოოომბააა!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “მიდი, შეარყიე ყველა!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ოღონდ, ზომიერად!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “აკეთე ხელოვნება!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “აკეთე კონსტრუქციული ხელოვნება!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ძააან. ძააააააააან. ძაააააააააააააან კონსტრუქციული ხელოვნება.”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “სინამდვილეში, ჩვენი ქვეცნობიერი მე, ჩვენი ცხოვრების წესს ვერ ეგუება.”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “და გარკვეულწილად მისი შეწყვეტის მომხრეა.”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გარკვეულწილად.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვანები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და შენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ტერორისტი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თვითგანადგურების ველზე ვხვდებით ერთმანეთს. ეს ისაა, რაც გვაერთიანებს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ჩვენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვანები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და შენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ტერორისტი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვიმსხვერპლებთ ყველას, ვინც შემთხვევით ჩვენი ხელოვნების კეთების ადგილზე აღმოჩნდება.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვანები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩუმად ვაპარებთ ჩვენს ნამუშევრებს ხალხმრავალ ადგილზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან ხალხმრავალ ადგილზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან მაგრად ხალხმრავალ ადგილზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენს ძაან მაგარ ნამუშევრებს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. დამფრთხალები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გარკვეულწილად.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ამაყები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თავმომწონედ მივაბიჯებთ ხალხს შორის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. საჯარო ადგილებში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან საჯარო ადგილებში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ექსჰიბიციონიზმის ყველა პარამეტრის დაცვით.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ვემზადებით ნაღმის ასამოქმედებლად.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ღია ცის ქვეშ!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვაპარებთ ამ ჩვენს ნამუშევრებს გალერეებში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. პავილიონებში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სასტუმროს ფოიეებში.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მიტოვებულ ქარხნებში.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ფაბრიკებში.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ოოოოოჰ. მმმ. უჰჰჰ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ფაბრიკააააააააააა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ოოოოოოოოოოჰჰჰჰ. მმმმმმ. უუჰჰჰჰჰჰჰჰჰჰ. უააააააააააა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვსველდები მოდერნიზმზე. ჭკუა მეკეტება მოდერნისტულ არქიტექტურაზე. ამ. ამ. ამ. ამ ძუნწ სტილზე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხელოვნება ნაღმია.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხალხს უყვარს ხელოვნება.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხალხს უყვარს ისტერიულობა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ჩვენი ხელოვნება ისტერიულია.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გარკვეულწილად.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც შენი ტერორიზმი.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და. აი. დღეს. აქ. თეატრში. ხელოვნების საკეთებელ დარბაზში, ჩვენი და შენი პოეზია ერთმანეთს შეხვდა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ამ შეხვედრამ ჩვენ სამუდამოდ შეგვცვალა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და შენ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შეცვალა ჩვენი ხელოვნება.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მართლა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ის ველარასდროს იქნება ისეთი, როგორიც შენთან შეხვედრამდე იყო.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. აქ გამოკეტვა იყო რაღაცა მშვენიერი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რენესანსი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გვიანი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გვიანი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გვიანი რენესანსი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან გვიანი რენესანსი. ძაააააან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. აქ გამოკეტვისას შენ ჩვენ მოგვეცი უძვირფასესი: დრო!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ფიქრი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ფიქრის საბაბი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ჩვენ აქ გამოკეტვისას აღმოვაჩინეთ, რომ ტერორიზმი ერთჯერადია და ნამდვილი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც ტრაგედია ძველ ბერძნებთან!
ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რომ ტერორიზმი, როგორც აქტი არ მეორდება.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ხოლო ის, რასაც აქამდე ვაკეთებდით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და რასაც ხელოვნებას ვეძახდით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. არის:

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ფარსი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და როგორც ფარსი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენი ხელოვნება მეორდება.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძააან მაგრად მეორდება.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ჩვენ ვიბნევით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვიბნევით და ვერ ვხვდებით აქამდე როგორ ვერ მივხვდით ამას.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და რაღაცნაირად გული გვწყდება.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გული გვწყდება ჩვენს ამ უპატიებელ მიუხვედრელობაზე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ღმერთო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ ვერ მივხვდით ამას.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ღმერთო

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ ვერ დავიჭირეთ ეს პარალელი ტერორიზმს, თეატრს, ტრაგედიასა და ფარსს შორის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მართლაც გულდასაწყვეტია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგრამ არაუშავს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ მართლა უმნიშვნელოვანესი გამოცდილება გავუზიარეთ ერთმანეთს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მართლა ძაან მნიშვნელოვანი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ და ჩვენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ, ამ გამოკეტილმა არტისტებმა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამ ტერორისტისგან გამოკეტილმა არტისტებმა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. გულის წასვლამდე გამოკეტილებმა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. რწყევამდე გამოკეტილებმა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩაჯმამდე გამოკეტილებმა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ბუკვალურად.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს იყო რაღაცა არაამქვეყნიური იქსფერიენსი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ცოტა ბრუტალური.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მოკლედ - იქსფერიენსი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ხელოვნება სხვა არაფერია თუ არა გამოცდილება.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ისტერიული გამოცდილება.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ერთგავარდ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. როგორც ტერორიზმი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ხელოვნების განცდის მერე ვეღასდროს იქნები ისეთი, როგორიც იქამდე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ხელოვნება ცვლის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. არავინ იცის საითკენ, მაგრამ ცვლის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. როგორც ტერორიზმი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ ვატყობთ როგორ გავიზარდეთ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. აქ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. თეატრში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. სულ რამდენიმე საათში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ტერორიზმი დაუვიწყარია.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ვეცდებით აქედან გასულებმა ჩვენც დაუვიწყარი ხელოვნება გავაკეთოთ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ დაუვიწყარი ხარ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს დღე არავის დაგვავიწყდება.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. არავის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. არავის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ შენ არასდროს დაგივიწყებთ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მარად გახსოვდე”.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენი პერფორმანსი, რომელსაც ახლა აქ ყველა ერთად ვადევნებთ თვალს და რომელიც ინსტაგრამზეც გადაიცემა ლაივ რეჟიმში, რომელსაც მთელი ინსტაგრამი უყურებს, მთელი ეს ინსტაგრამ საზოგადოება, წარუშლელ კვალს დატოვებს ჩვენზე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. აქ განცდილ შიშს კონკრეტულ ნამუშევრებად მოვთარგმნით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. როცა აქედან გავალთ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. შეიძლება ჩვენს აფთიაქს და წამლების პაწაწინა კოლოფებს ამ გამოცდილებით ახალი მედიკამენტები დაემატოს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ ხელოვანები ვართ და გამოვძვრებით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ ხელოვანები ვართ და აქედანაც ცოცხლები გამოვძვრებით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ესთეტები. ძააან. ძაააააააან. ძააააააააან ესთეტები გამოვძვრებით აქედან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და შამპანურის თხელი ფუჟერებით გამოვცლით ათას ანტიდეპრესანტს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ორიათასს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ - გამოვძვრებით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც ამ დარბაზიდან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც ამ გაჩახჩახებული დარბაზიდან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და რა წამს ამ დარბაზს დავტოვებთ და მძევლები აღარ გვერქმევა, ჩვენ თავად ავიყვანთ ჩვენს თავებს მძევლად.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენს უსაყვარლეს თავებს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ აქედან უფრო დესტრუქციულები გავალთ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ტერორიზმი ცვლის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. თეატრი ცვლის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რაციოს ამ დარბაზში დავტოვებთ. ამ სავარძლებზე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. (ფეკალიებთან ერთად)

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ეს რაციო იქნება არტეფაქტი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. (როგორც აქ დატოვებული ჩვენი ფეკალიები)

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და აქედან გასულები ქუჩებს მოვედებით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. 778 ირაციონალურ ნამუშევარს შევქმნით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენთვის.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ზუსტად იმდენს, რამდენი სკამიცაა არ პარტერში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ცუდად ვხვდები რომ წარმოვიდგენ როგორ მოვედებით ჩვენი დესტრუქციითა და პოეზიით ქუჩებს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჭკუიდან გადავდივარ ამის წარმოდგენისას.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვსველდები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა ამიდგება!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენ ახლიდან გაგვააზრებინე სიტყვა “პენეტრაცია”.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენ ისე ახლოს მოხვედი ჩვენთან. ისე ახლოს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ჩვენ არ ვგრძნობთ თავებს გაუპატიურებლად.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენს უსაყვარლეს თავებს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ - პენეტრაცია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ყველა ხელოვნება უნდა იყოს სპეცოპერაცია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სპეციალური.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სპეციალური.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სპეციალური.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სპეციალური ოპერაცია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კარი რომ შემოატვრიე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. აი, ის ხის კარი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ შენით თავიდანვე მოვიხიბლეთ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. პირველად რომ დაიღრიალე, დაწექით, თორე სუყველას დედას მოგიტყნავთო, იმ წამსვე მომეწონე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შიში და მოწონება ერთმანეთს ცვლიდნენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ავსებდნენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ნეტავ, მაგ დროს შენი თავის დანახვა შეგძლებოდა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გვერდიდან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. უსაყვარლესი იყავი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “საყვარლობა. ძაან მაგარი საყვარლობა.”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და უკომპრომისო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ამიტომ თავიდან შენც ხელოვანი მეგონე. მაგრამ ტერორისტი აღმოჩნდი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ეს ერთი ყოფილა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რა სიგიჟეა?!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ შენ არ გაგიძალიანდით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ შენთვის წინააღმდეგობა არ გაგვიწევია.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენ ბოლომდე შემოვუშვით შენი ტერორიზმი ჩვენში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ისე, როგორც სხვებს მოვუწოდებთ ხოლმე შეუშვან ჩვენი ხელოვნება მათში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ამან გაამართლა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. პირვანდელი უსიამოვნება მალევე გაქრა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მაშინვე შეგეგუე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჯერ ვერც კი მხედავდი იმდენ ხალხში, მაგრამ მე მაშინვე შეგეგუე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი ამაღელვებელი მართლა არაფერი გამომიცდია.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი საშიში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეთქი, არ ჩავიჯვა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “ოღონდ, ახლა აქ არ ჩაიჯვა!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “ღმერთო, ოღონდ, ჩუბიკას თვალწინ არ ჩავიჯვა!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მიშველეთ!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “რომ ჩავიჯვა, ვაითუ წიბახამ კადრში ასახოს?”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ღმერთო, რამდენ სურათს იღებს ეს კაცი!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “არ არის საჭირო!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მოკლედ - ჩაჯმა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ბრავო!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ ჩვენ მოგვენუსხე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. იმ წამსვე მომეწონე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შიში და მოწონება ერთმანეთს ცვლიდნენ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ავსებდნენ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამიტომ არავის ჩაგვიჯვამს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. სპექტაკლის მიმდინარეობისას პარტერის კარი წიხლით რომ შემოამტვრიე, გავიფიქრე, ღმერთო, ვინ არის ეს არანორმალური?!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ბრავო!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ეს კაცი ნამდვილი ოპიუმია!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგარი კაცი!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ოჰ, ეს ვულგარული მუხლები! ტერორისტის მუხლები! ჩუმი გამოხედვები!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. არადა, დაგაჯდებოდი მაგ მუხლებზე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩემი მრუმე ფიქრები შენია!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. თავიდან ეს შემომტვრევა სპექტაკლის ნაწილი მეგონა. სარეჟისორო გადაწყვეტა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ერთგვარი ინტერაქცია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "მიყვარს რეჟისორი ბოლომდე რომ ითვისებს სივრცეებს."

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "თეატრი ხდება ყველგან!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "და არამხოლოდ სცენაზე"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "მიყვარს ისეთი კონცეფციები, სადაც რეჟისორი თავს ცოტა დაუცველად მაგრძნობინებს."

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "მიყვარს რეჟისორი ბოლომდე რომ ითვისებს სივრცეებს"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. სრული პენეტრაცია!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. რასაც ქვია სრული პენეტრაცია!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შეღება!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ღრმად!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან. ძააააააააააააააააააააააააააან ღრმად!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "ბრავო!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. წინ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. უკან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ყველგან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. აააააააააააააააააააააააააააა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ბოლომდე!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. აააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “მართლა ბრავო, რა!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ, შენი დარბაზში შემოსვლა დადგმის ნაწილად მივიჩნიე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ზუსტად ამიტომ შემოვკარი ტაში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ეს მაინც აღმოჩნდა სპექტაკლი. ოღონდ, სხვა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გარკვეულწილად.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და როცა გავიაზრე, რომ ეს მართლაც არ იყო სპექტაკლის ნაწილი, სადღაც, გულის ძალიან ღრმა კუნჭულში მაშინვე გავიფიქრე, რომ სპექტაკლს ჩაშლა ემუქრებოდა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენს ხელში ავტომატი რომ დავინახე, მკრეხელურად გავიფიქრე: “რაღა დროს, ბეკეტია?!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “ბოდიში, სემუელ!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “მართლა!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “მართლა ძაან დიდი ბოდიში!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “მოკვდი, სემუელ!!!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გიყურებ, როგორ გიკავია ავტომატი ხელში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და ხელყუმბარა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გახსნილი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გახსნილი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. გახსნილი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გახსნილი ხელყუმბარა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გიყურებ და მინდა ყველაფერი აგილოკო. შენი პალტო. შენი ავტომატი. შენი ყველაფერი. ეგ შენი ხელყუმბარა. გახსნილი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვხედავ, რომ პირს აღებ და რაღაცას ყვირი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ხმა არ მესმის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვხედავ, რომ სცენაზე მდგარი მსახიობები გიყურებენ და ვერაფერს ხვდებიან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ტიპები გამოყლევდნენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. რა ქნან არ იციან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გიყურებ შენ. ვუყურებ ამ შენს ხელყუმბარას. გახსნილს. ვუყურებ ამ მსახიობებს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თან ჩვენთან არიან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თან არც არიან ჩვენთან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრად ეშინიათ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. დგანან ჩაჯმულები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც მისაღები გამოცდების ტურებზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და დამფრთხალ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შეშინებულ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგარ შეშინებულ ადამიანებს განასახიერებენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩვენი არ იყოს შიშისგან სადაცაა ჩაისვრიან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სადაცაა ყველა ჩავისვრით.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სადაცაა აქ დიდი ჩაჯმის პერფორმანსი დაიწყება.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. სცენაზე. პარტერში. ფოიეში. გარდერობში. VIP მისაღებში. ყველგან. ყველგან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩაჯმა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ჰეფენინგი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. პროცესი და არა იმდენად შედეგი!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ შიშთან ერთად წლების შემდეგ ამ თეატრის დარბაზში ბრუნდება:

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. იმპროვიზაცია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. რაღაცა ძაან ნამდვილი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “ძლივს რაღაცა ძაან ნამდვილს არ აკეთებენ?”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი ნამდვილი არაფერი გვინახავს ამ თეატრში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი ჩაჯმამდე ნამდვილი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შიშის ეტიუდებს თამაშობენ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩაჯმა! ვერბატიმი! აი, რას ითხოვს არტკრიტიკა მთელი ეს დროა! აი, რას ელიან ამ თეატრისგან!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. აი, ესაა დოკუმენტური თხრობის მანერა!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მებრალებიან, მაგათმაც რა ქნან?!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. არ ვიცოდი ასეთი თეატრალური მიხვრა-მოხვრა თუ გქონდათ ტერორისტებს!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მტყვნელი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მტყვნელად თეატრალური.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “ხომ ხარ ღირსი აქვე გიხმარო?”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგიჟებ!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა სმარტფონი რომ არ ამოვიღო და დარბაზის შემომტვრეულ კართან აღრიალებული არ გადაგიღო, ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვიფიქრებ, რომ არტისტი არ ვარ!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ეს რომ არ ვქნა!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. აქ!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ ქაშმირის პალტოში რომ არ გადაგიღო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რომ არ გადაგიღო როგორ იგინები.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ გვმუტლავ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ გვემუქრები.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორ გვსწავლობ და გვათვალიერებ დარბაზში ახლახან შემოვარდნილი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენს მძევლებს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენს ძაან სექსუალურ მძევლებს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენსავით სექსუალურებს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა რომ არ გადაგიღო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა რომ ტელეფონი არ დავაძრო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ეს ქონთემფორარი რომ არ დავაარქივო.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლა რომ ინსტაგრამზე არ გაგსთორო ასე აღრიალებული.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ასე საშიში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ასე მტყვნელად საშიში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მხედავ.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მხედავ როგორ ვიღებ Gucci-ს ჩანთიდან ტელეფონს.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. და გილებ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. აზრზე რომ მოვდივარ ჩემი ოქროსფერი აიფონი ორი რიგით წინ გდია.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ძირს.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. წითელ ხალიჩაზე.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. რამდენიმე ნაწილად დაშლილი.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ეკრანი საერთოდ სამი რიგით წინ გდია.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ნიკაპზე შენი Chanel-ის ფეხსაცმელი მხვდება.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. მწარედ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ძაან მწარედ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ძაან. ძაან. ძაან.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. თავბრუ მეხვევა.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. იმ წამსვე.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. მთელი თეატრი წრეზე ტრაიალს იწყებს.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. მტკივა.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. მეშინია.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. შიშისგან ვიჯვამ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. თან, არც ვიჯვავმ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. თავს დაუცველად ვგრძნობ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. გვერდით ჩემი ქმარი ზის და თავს მაინც დაუცველად ვგრძნობ.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. შენი მეშინია.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ლ ა ც  ბ რ ბ ო ლ ა ნ. შენი მართლა ძაან მეშინია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “მგონი, დეოდორანტს არ ხმარობს.”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ტკივილსგან მხედველობა მეკარგება.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ვიცი, აქ ხარ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. პარტერში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩემთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩემს სკამთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეათე რიგის მესამე სკამთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ვერ გხედავ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ შენი ოფლის მსუბუქ სურნელს ვიჭერ. ნესტოებში ვიკეცავ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ნიკაპი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მტკივა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ გგრძნობ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “ნამდვილად არ ხმარობს დეოდორანტს.”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მინდა ავლოკო შენი ხელყუმბარა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გახსნილი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ მეშინია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მარტო ფილმებში მინახავს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ხელყუმბარის ლოკვა ფილმებშიც არ მინახავს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “რას ავლოკავდი?”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მხატვარი ვარ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი მხატვარი ვარ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ობიექტურობას არ ვკარგავ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩემს შემოქმედებას მართლა კარგი კრიტიკა აქვს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მხატვარი ვარ და სახეზე სისხლი მომდის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ ჩამარტყი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ფეხი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “Chanel”-ის ფეხსაცმელი რატომ აცვია? გეია?”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩემი ქმარიც მხატვარია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. გვერდით მიზის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ხელსახოცს მიწვდის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. სისხლს არ მოვიწმენდ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს შენი საჩუქარია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჯერ ხუთი წუთიც არ არის რაც ერთმანეთს ვიცნობთ და უკვე საჩუქარი მაჩუქე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “როგორ არ გავგიჟდე?”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. საჩუქარი მაჩუქე. ორიგინალი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ღედანი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. პირველადი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ნედლი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ნედლი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ.ნედლი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ნედლი სისხლი.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არამეორეული.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არამედ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ნედლი.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეტირება ამას რომ ვიაზრებ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი უნდა იყოს ხელოვნება, გულს უნდა გიჩუყებდეს!

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ორიგინალის ნახვისას ყოველთვის მეტირება!

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და მერე დავდივარ და ყველგან ვყვები როგორ ვიბღავლე ორიგინალის წინ მდგომმა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჰოდა, ახლაც მეტირება.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ტკივილსგან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და ხელოვნებისგან. ორიგინალის თვალიერებისგან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ, შენი საჩუქრისგან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “გეია? ვერ ვხვდები ასეთი სახით რატომ იყურება. რომელს გვიყურებს? ჩემი მოტყვნა უნდა თუ ჩემი ქმრის? იქნებ ორივესი?”

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ბისექსუალი ტერორისტია?

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კბილებამდე შეიარაღებული ბისექსუალი ტერორისტი?

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “როგორ არ გავგიჟდე?”

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ექსტაზში ვარ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ხანდახან ექსტაზში მეშლება ის, რაც სინამდვილეში მხოლოდ უდარდელობაა.”

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი მეშინია.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ თან თავს უდარდელად ვგრძნობ.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. ზომაზე აგრესიული არც ხარ. მხოლოდ ის ვერ მაპატიე, რომ ინსტაგრამზე ავტომატით ხელში გასთორვა დაგიპირე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. შენი წყენინება არ მინდოდა.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. მართლა არ მინდოდა.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. უნდა დამიჯერო.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. თუ გინდა საერთოდ გავაუქმებ ინსტაგრამს.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. თუ გინდა მივატოვებ ამ ჩემს ქმარს და აქედანვე გავიქცეთ.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. პირდაპირ თეატრიდან გავიპაროთ.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. პოლიციელებით ალყაშემოტყმული თეატრიდან.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. უკან მოვიტოვოთ ჩემი ქმარიც და პოლიციელებიც.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. თეატრიც.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. ძალიან მჭირდები!

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. რამე ამალოკინე!

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. მართლა ველარ ვითმენ.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. მოიძრე ეგ ტყავის ხელთათმანი და გამალოკინე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. რატომ მახვეწნინებ?

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. თუ გინდა მომყიდე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. აქვე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. ცალი.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. ან ორივე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. ოღონდ გამალოკინე.

ვ ი ლ ა ც   ბ რ ბ ო ლ ა ნ. თეატრის ცენტრალური შემოსასვლელით გავიდეთ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არაფერი მაქვს დასამალი!

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხომ გეუბნები, მაგიჟებ!

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ იმის გეშინია, რომ პოლიციელები ამოგიცნობენ...

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სახანძრო კიბით.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ შენ რამის გეშინოდეს.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გგრძნობ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არაფრის გეშინია.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მე ხომ ვიცი.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სულ პირიქით.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი ეშიანია აქ ყველას.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხმაჩაგდებულები ყრიან სკამებზე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ქალები.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კაცები.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. შიშისგან.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. და სხვა რაღაცეებისგან ფეხებს აქვე გადაგიშლიდნენ.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ქალები.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კაცები.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ყველა ყველაფერს გადაგიშლიდა.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. პირდაპირ ამ სკამებზე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ განახლებულ, ამ საკმაოდ კარგად რესტავრირებულ სკამებზე.

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “რა კომფორტული სავარძლებია, არა, ლამარა?”

ვ ი დ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უკვე ცხადად ვხედავ ამ სურათს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ვხედავ როგორ ისიყვარულე ამ სკამებზე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. სათითაოდ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ქალებთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. კაცებთან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მადლობა ღმერთს, ბავშვი არავის მოუყვანია ამ საღამოს სპექტაკლზე!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ვართ მხოლოდ ქალები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. და კაცები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. რა ვქნა, პედოფილიას ვერ გავამართლებ!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს ერთადერთია, რაზეც ჩემი უზომოდ თავისუფალი არტისტული ბუნება მაცენზურებს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მადლობა ბეკეტს, რომ საბავშვო პიესებს არ წერდა!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მადლობა, სემუელ! ამიტომ გაფასებ!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. რომ საბავშო არაა! რომ ბეკეტი მარტო ძაააააააან დიდებისთვის წერდა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. პედოფილიაზე მაერორებს. ბოდიში. მართლა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ბოდიში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ვართ მხოლოდ ზრდასრულები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. სატყნავები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ძაან. ძაააან. ძააააააან მაგარი სატყნავები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მეტირება ისეთი სატყნავები ვართ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. პედოფილიაზე რაც ვთქვი მაგის გამო მიბრაზდები?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ბოდიში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. არა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ოღონდ, ეგ არა!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ოღონდ, ჩემს ცოლს არ შეეხო და რაც გინდა ის ქენი!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. რაც გინდა, ის მიყავი!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გთხოვ!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ვერ ხედავ როგორი დამფრთხალია?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გემუდარები. ნუღარ აშინებ, გემუდარები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ გინდა მე მაკოცე, ოღონდ, ჩემს ცოლს დამატებით ნუ შეაშინებ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მართლა ვერ ხედავ როგორი დამფრთხალია?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მაკოცე ეს ღედამოტყნული!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. არა!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მოიცა!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. სულ სხვა რაღაცის თქმა მინდოდა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მართლა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. უბრალოდ ისე დაგვაბნიე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ისე ძალიან.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ისე მტყვნელად დაგვაბნიე, რომ…

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ეს რა გაგვიკეთე?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. რა გაგვიკეთე?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გვიპასუხე!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. პასუხი გაგვეცი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გვითხარი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მიდი, გვითხარი რა გაგვიკეთე!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი დაბნეულობა შენ შემოიტანე?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენმა გრძელმა თითებმა ტყავის ხელთათმანებქვეშ?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. შენმა ბარიტონმა?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მგონი, ტენორია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. სულერთია. მის ხმაზე პირდაპირ ვსველდები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი, თუ გინდა, აკოცე ჩემს ცოლს. ოღონდ, მერე მეც მაკოცე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კარგი?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. “ნამდვილი ცხოვრება მინდა!”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. აქვე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. აქვე. ამ თეატრში.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ დარბაზიდან გაუსვლელად მინდა ნამდვილი ცხოვრება!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მინდა ეს კარგად გაიაზრო!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. არ გამაწვალო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “მეზიზღები!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “მჭირდები!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “მეტი მჭირდება”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვინმეს მაინც აკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ცვლილება მჭირდება!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “ნამდვილი ცხოვრება მინდა, ნამდვილი სიყვარული, რომელსაც ფესვები გაუდგამს და დღის სინათლეზე სიმაღლეში იზრდება”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც შენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორც შენ გაიდგი ფესვები ამ დარბაზში, ამ რბილ იატაკზე. წითელ ხალიჩაზე იზრდები. პირდაპირ ჩვენს თვალწინ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “თუ რამე მინდა, შენთან ერთად მინდა!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ ჩემი ცოლი მინდა, შენთან ერთად მინდა!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ ტრაგიკული სიკვდილი გვიწერია თეატრის მიმდებარე პერიმეტრზე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ სნაიპერმა უნდა მომკლას.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. თუ ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემენ ჩემს სიკვდილს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ ჩემს თეატრალიზებულ სიკვდილს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მინდა, რომ შენც იქ იყო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც მინდა შენთან ერთად სიკვდილი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არ მოკვდე მარტო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გემუდარები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. საერთოდ არ მოკვდე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ ერთხელ გთავაზობ სახანძრო კიბით გაქცევას. ვერავინ დაგვინახავს. ვერავინ დაგვიჭერს. თუ მაინც გვესვრიან, მე გადაგეფარები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მე მაკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ამასც აკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. აკოცე ვინმეს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მანახე ეგ ხელყუმბარა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო ახლოდან მანახე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. უფრო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. პირს გავაღებ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გავაღო პირი?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგ გახსნილი ხელყუმბარასავით გავხსნი პირს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მოგეწონება?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ხომ შთამბეჭდავი იქნება შენთვის?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მე შენ ვერ შეგაშინებ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგრამ შემიძლია გაგაოცო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. პირის ძალიან დიდზე გაღება შემიძლია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც შემიძლია ასე!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მე უფრო დიდზეც შემიძლია. აი. ააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააააა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ამას მართლა დიდზე გამოსდის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩაუდე ეგ ხელყუმბარა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ვინმეს რამე დამართე!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. გემუდარები.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მინდა ჩემი და შენი დნმ-ები შეერთდნენ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. სამუდამოდ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. “მარად გახსოვდე!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. ბოლოსდაბოლოს აკოცე ვინმეს!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. არ მკოცნი?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მე უნდა მაკოცო.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “ნატანჯი სულები გამშრალი ტუჩებით.”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. უკვე მწყინს.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. “მუცელს ნუ მივსებ, თუ ჩემთვის გულის ავსება არ შეგიძლია.”

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს ყველაფერი ჩემი მუცლიდან უკანვე გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს გამოღევნე, მე კი მარად გახსოვდე!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ ჩვენ გაგვართე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. უფრო მეტად, ვიდრე ამას ეს ყლეობა სპექტაკლი შეძლებდა. არადა, მაგიტომ მოველი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. გიყურებ და უმცირეს ადგილსაც კი არ ტოვებ მოწყენილობისთვის.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. მთელი დარბაზი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. პარტერი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ლოჟები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. იცი, რომ ამ 778 ადგილიანი დარბაზის გარდა ამ თეატრს მცირე და ექსპერიმენტული სცენები აქვს?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენი ქცევაც ექსპერიმენტულია.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. ერთგავარად.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. კიდევ “სამეჯლისო დარბაზი”, “სასტუმრო ოთახი” და VIP მისაღები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო ღ ა ნ. VIP მისაღებში მაინც მაკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამიყვანე და მაკოცე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მცირე სცენის დარბაზში 263 მაყურებელი ეტევა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ანუ 263 მძევალი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ექსპერიმენტული სცენის ირგვლივ - 182.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ანუ მხოლოდ 182 მძევალი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგრამ შენი ტერორიზმი მასშტაბურია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. დიდი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. გრანდიოზული.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. კამერული ტიპის ტერორიზმი საშენო არაა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. უკანასკნელად გთხოვ აქაურობის სახანძრო კიბით დატოვებას. მაგ კიბით გარბოდნენ თეატრის თანამშრომლები 1949 წლის 9 ივნისს, როცა თეატრი ალში გაეხვა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ცეცხლის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. დღესაც.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. დღეს - სიყვარულის.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “You ara fire. You are dressed in black.”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაშინ მხოლოდ ფასადი გადაურჩა ხანძარს.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. დღეს რა გადარჩება?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. იქნებ ყველას ერთად სიკვდილი გვიწერია?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. არ მინდა სიკვდილი!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. რას ითხოვ ჩვენგან?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ფულს?

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რა ფასი გვადევს?

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. პირქუში შეკითხვაა.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვერავინ გვეტყვის, რა მოგველის.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მე არაფერს ველი.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ბავშვი მენატრება. დედაჩემს დავუტოვე.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. იმაზე იფიქრე, რამდენად კარგია, რომ ახლა აქ არ გახლავს.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი ბავშვი უსაფრთხოდაა.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენი ბავშვი მოწყენილობაშია.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რომ შენი ბავშვი ახლა დედაშენს უზის უსაფრთხოდ მუხლებზე და დონალდ დაკს უყურებს ტელევიზორში და არა შარვალჩახდილი ტერორისტის
დიდ ყლეს. ძაააან ძაააან ძაააააააან დიდ ყლეს.

---

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. თავიდან ვერც მივხვდი საიდან მოდიოდა ხმაური.

---

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მინდოდა იქვე მოვვარდნილიყავი და კაპელდინერის თვალწინ მომეტყანი.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ტანსაცმლის გაუხდელად.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მთელი ამ ტერორისტული ტანსაცმლის გაუხდელად.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. აი, თურმე როგორ გაცვიათ ტერორისტებს.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. თურმე როგორები ხართ ტერორისტები ახლოდან.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ლაივში.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ახლო ხედით.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძააან ახლო ხედით.

ვ ი დ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მართლა ძაან ახლო ხედით.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ცოტა საშიშად ახლო ხედით.
ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მიახლოება!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. Valentino-ს პალტო შორიდანვე შევნიშნე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ეს დავარდნილი, თეძოზე ოდნავ გამოყვანილი პალტო 2020 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. სულ ბოლო კოლექციიდან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. "როგორი მოდურია!"

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. როგორი მოდურია ტერორიზმი!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. თავიდან ქაშმირი მეგონა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ყველაზე რბილი და საუკეთესო მატყლი მსოფლიოში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ტიბეტური.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ალპური.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ველური თხა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან მაღლა ცხოვრობს.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ძაან. ძაან.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მისი ფუმფულა ბეწვი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მისი ცვეთამტანი ფაქტურა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მეთქი, ახლა მივალ და მოვტყნავ ამას.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ამ პალტოში.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. უბრალოდ შევუხსნი და მოვტყნავ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. იქვე. კედელზე. ან პარტერის სკამზე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. გადავკუზავ და მოვტყნავ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. პალტოს შევუხსნი და პირდაპირ კაპელდინერის თვალწინ გადავაჯდები.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. "წიბახ, გადამიღე ერთი როგორ ვტყნავ ავტომატიან ტერორისტს ტრაკში!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. და კიდევ. ხელახლა. ¾--ით. ხელახლა. ხომ იცი, რომ მარჯვენა პროფილი არ მივარგა? ხელახლა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. იქ დადექი.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. აი, იქ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. არა, იქ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. და გადამიღე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. კიდევ გადამიღე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მეც გადამიღე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მერე მეც გადამიღე.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მე არ გადამიღო, არ მიყვარს ფოტოგრაფია! ნუ, არ მიყვარს რაღაცნაირად!

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მე ჩუბიკა დამხატავს ტყნაურისას. ან გამომძერწავს. ხო, ჩუბიკ?

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ, ვუყურებ ამ ტერორისტს და ვფიქრობ: "მოვტყნავ ახლა ამას და თავის თავს დააბრალოს!"

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი კარგი რომაა.

ვ ი ღ ა ც ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი სატყნავი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ასეთი მაგარი სატყნავი რომაა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ურცხვად.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. “რაღა დროს ჩემი ეგეთებია?!”

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მაგიჟებ!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ჭკუიდან გადაგყავარ!

------------------------------------------------------------
ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკვდი, დამპალო!
------------------------------------------------------------

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვხედავ, რომ ცოტავდები.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ილევი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და უფრო მინდები.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ამის გამო უფრო მინდები.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. შენ ხარ:

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ცოტა.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. მოკლედ, კარი რომ შემოტეხე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. და იღრიალე.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ურცხვად.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ვიფიქრე:

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რიგოლეტო!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ბარიტონი.

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. ყოველთვის მინდოდა მასხარა მომეტყნა!

ვ ი ღ ა ც  ბ რ ბ ო დ ა ნ. რიგოლეტო!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. “რამდენჯერ მიფიქრია, უნდა ადგე და სათითაოდ დატყნა ყველა მასხარა ტრაკში. აი, საინტერესოა, მერე თუ ექნებათ ამ იუმორის თავი?!”

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ვერ ვიტან იუმორს!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ვერაფერს ვიტან რაც დაუსრულებელია!

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მოკლედ, ამ კაცის აქ შემოვარდნა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს შემთხვევითი-მეთქი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. როგორც ჯუზეპე ვერდის მუსიკა.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მოკლედ - გაკვეთილი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. სერიოზული გაკვეთილი.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენგან.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და ეს საკმარისია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ეს სავსებით საკმარისია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ სავსებით საკმარისი ხარ.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ჩვენ მეტი რა შეგვიძლია?

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. მაგრამ შენ შეგიძლია.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. ამიტომ გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. გამოღევნე შენი ლამაზი სხეულიდან შენი ლამაზი ხელოვნება. გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. შენ თვითონ გამოღევნე.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და, აი, ახლა, ამ ლითონის კოვზით შენ უკვე შეჭმული გაქვს შენი სხეულის ⅔.

ვ ი ღ ა ც   ბ რ ბ ო ღ ა ნ. და შენ იგრძენი:

ტ ე რ ო რ ი ს ტ ი. ეიფორია.

<u>ს ი ბ ნ ე ლ ე</u>